



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართლის
საბაკალავრო პროგრამის კომპეტენციების კვლევა სწავლის
შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში

მოყვანის მიზნით

(შიდა შეფასება)

თბილისი

2018

კვლევის მიზანი: სამართლის საბაკალავრო პროგრამის გარე და შიდა შეფასება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

კვლევის საგანი: პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, გარე შემფასებელი (დარგის პროფესორები) სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებელი და სხვა ფოკუს-ჯგუფები.

კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარები ფოკუს-ჯგუფებისთვის

შერჩევა: რესპოდენტებად შეირჩნენ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური და მოწვეული პროფესორები, სტუდენტები, პროგრამის კურსდამთავრებულები, გარე შემფასებლები, დამსაქმებლები.

კვლევის ჩატარების პროცედურა:

1. პირველი ფოკუს-ჯგუფი - 2013-2017 წლის კურსდამთავრებულები (20 რესპოდენტი);
2. მეორე ფოკუს-ჯგუფი - მიმდინარე სტუდენტები (47 რესპოდენტი);
3. მესამე ფოკუს-ჯგუფი - პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი (20 რესპოდენტი).
4. მეოთხე ფოკუს-ჯგუფი)-გარე/შიდა შემფასებლები- 2 რესპოდენტი.
5. დამსაქმებლები- 2 რესპოდენტი.

1.კვლევის შედეგებში წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფების რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები. 11 კითხვა იყო დასმული:

1. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც წააწყდით სამუშაოს მოძიების პროცესში?
2. რომელ წყაროებზე დაყრდნობით, რა გზებითა და მეთოდებით მოიძიეთ სამსახური (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, *პირადი კავშირები* და ა. შ.)?
3. კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დროის რა პერიოდში დასაქმდით?
4. რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
5. რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული თეორიული/პრაქტიკული უნარები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
6. რა სახის თეორიული ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?

7. რა სახის დარგობრივი/ტრანსფერული/პრაქტიკული უნარები არ მიგაჩნიათ საკმარისად სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
8. რას მიიჩნევთ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად „ზედმეტად“ თქვენს განათლებაში?
9. დაგჭირდათ თუ არა გადამზადება, სად და რა ფორმით გააკეთეთ ეს? რა დრო და ფინანსური სახსრები მოითხოვა ამ გადამზადებამ?
10. როგორ ფიქრობთ რა არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს კონკურენტუნარიანობას დღევანდელ შრომის ბაზარზე?
11. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს უნივერსიტეტმა თავის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად?

1. კვლევის შედეგებში წარმოდგენილია სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსაზრება აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ:

კურსდამთავრებულები - კურსდამთავრებულთა უმრავლესობა პოზოტიურად არის განწყობილი სამართლის საბაკალავრო პროგრამით მიღებული ცოდნის მიმართ, უმრავლესობა მათგანი დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციით სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებაში და კმაყოფილნი არიან იმ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით და უნარებით, რაც მიიღეს წინამდებარე პროგრამით გავლის შედეგად, თუმცა კურსდამთავრებულებმა ასევე გამოთქვეს სხვადასხვა სახის სურვილები სამომავლო საქმიანობისთვის და პროგრამის განვითარებისთვის, კერძოდ დაიხვეწოს პროგრამა, გაიზარდოს არჩევითი საგნები, გახდეს უფრო თანამედროვე, გაიზარდოს პრაქტიკის კომპონენტი, შრომის ბაზრის კვლევა ხდებოდეს ხშირად და გარკვეული ინტერვალებით, რითაც გაიზრდება კურსდამთავრებულების ინფორმირებულობა და მოტივაცია, ასევე მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამების და პროექტების არსებობა, სტაჟირების მეტი საშუალება და სხვ.

2. კვლევის შედეგებში წარმოდგენილია საერთო ჯამში 47 სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფების რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები.

სტუდენტებმა ანონიმურად გასცეს პასუხი სამი ტიპის კითხვარს:

1. ლექტორის შეფასებას (იხ. ქვემოთ)
2. სასწავლო კურსის შეფასებას (იხ. ქვემოთ)
3. პროგრამის და უნივერსიტეტის ზოგად შეფასებას (იხ. ქვემოთ)

ლექტორის შეფასება სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ

კითხვარი მოიცავდა 12 კითხვას:

- 1.წარმოადგინა თუ არა სილაბუსი
- 2 ატარებს თუ არა ლექციებს წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით
- 3 აცდენს ლექციებს
- 4 მასალას გადმოსცემს გასაგებად და შეუძლია სტუდენტის დაინტერესება
- 5 გვასწავლის თანამედროვე მასალებზე/ლიტერატურაზე დაყრდნობით
- 6 ხელს უწყობს ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას
- 7 კითხვებს ამომწურავად პასუხობს
- 8 ხელს უწყობს თავისუფალი აზრის გამოთქმას
- 9 ადვილად შეუძლია ურთიერთობა აუდიტორიასთან
- 10 გვაძლევს დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის
- 11 სრულად იყენებს ლექციისათვის განკუთვნილ დროს
- 12 სტუდენტის ცოდნას აფასებს სამართლიანად

**სტუდენტების მიერ შეფასდა 11 ლექტორი (აკადემიური და მოწვეული პერსონალი),
10 მათგანი იყო სამართლის მიმართულების, ერთი-ინგლისური ენის მასწავლებელი.**

1. ბექა ქანთარია (სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)
2. ნინო ნიჭარაძე (სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი, მოწვეული, საჯარო სამართალი)
3. მაია კოპალეიშვილი (სამართლის დოქტორი, მოწვეული, საჯაროსამართალი)
4. დავით გეგერიძე (ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო სამართალი)
5. ლელა ნადიბაიძე (სამართლის დოქტორი, პროფესორი, კერძო სამართალი)
6. თამარ ჩიტოშვილი (სამართლის დოქტორი, ავილირებული პროფესორი, კერძო სამართალი)
7. შალვა ქურდაძე (სამართლის დოქტორი, მოწვეული, კერძო სამართალი)
8. ლალი ფაფიაშვილი (სამართლის დოქტორი, მოწვეული, სისხლის სამართალი)
9. თამარ ლალიაშვილი (პროფესორ, სისხლის სამართალი)

10. არჩილ ლორია (პროფესორი, საჯარო სამართალი)

11. ნინო რუხაძე-ინგლისური ენის მასწავლებელი

ბექა ქანთარია შეაფასა 6 სტუდენტმა, 6 დან 2 სტუდენტმა (30 %) ნაწილობრივად შეაფასა ბ.ქანთარია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის არ უწყობს ხელს თავისუფალი აზრის გამოხატვას, სასურველია მიეცეთ დავალება დამოუკიდებელი მუშაობისთვის, ლექციის გამოყოფილ დროს იყენებდეს სრულად, და რომ შეეძლოს სტუდენტის დაინტერესება, და რომ გამოყენებულ იქნას თანამედროვე მასალები. დანარჩენი 4 სტუდენტი დადებითად და პოზოტიურად აფასებს ამ ლექტორს.

ნინო რუხაძე-შეაფასა 6 სტუდენტმა, 100 % აფასებს დადებითად.

ნინო ნიჟარაძე შეაფასა 23 სტუდენტმა, მხოლოდ 2 (5 %) სტუდენტმა უარყოფითად შეაფასა ნ.ნიჟარაძე შემდეგ პუნქტებში: არ ატარებს ლექციებს წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, ხანდახან აცდენს ლექციებს , მასალას არ გადმოსცემს გასაგებად და არ შეუძლია სტუდენტის დაინტერესება , არ გვასწავლის თანამედროვე მასალებზე/ლიტერატურაზე დაყრდნობით , ხელს არ უწყობს ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, კითხვებს ამომწურავად არ პასუხობს ; ხელს არ უწყობს თავისუფალი აზრის გამოთქმას, ადვილად არ შეუძლია ურთიერთობა აუდიტორიასთან , არ გვაძლევს დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის, თუმცა , საერთო ჯამში დადებითად არის შეფასებული.

მაია კოპალეიშვილი შეაფასა 32 სტუდენტმა, აქედან უარყოფითი (2-3 სტუდენტი), პუნქტი 10 უარყოფითად. ერთ-ერთ სტუდენტს მიაჩნია, რომ ძალიან ბევრ მასალას იძლევა, რომელიც სასურველია იყოს ოდნავ ნაკლები და ლექციების გაცდენასაც ხაზს უსვამენ, თუმცა ლექციების აღდგენა ხდება სისტემატურად, 1 სტუდენტმა უარყოფითად შეაფასა პუნქტები 6,7,8,10 (ხელს არ უწყობს ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას . კითხვებს ამომწურავად არ პასუხობს , ხელს არ უწყობს თავისუფალი აზრის გამოთქმას, არ გვაძლევს დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის). გარდა ამისა, დამატებით სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ საგამოცდო საკითხები დროზე მიეწოდებოდეთ, ლექციების გაცდენა იყოს ნაკლებად, რომ მოსამზადებლად გამოიყენონ ის თავისუფალი დრო.

დავით გეფერიძე- შეაფასა 22 სტუდენტმა, აქედან 3 სტუდენტმა უარყოფითად შეაფასეს ლექტორი -პუნქტი 10 და 11- არ გვაძლევს დავალებებს დამოუკიდებელი

მუშაობისათვის, სრულად არ იყენებს ლექციისათვის განკუთვნილ დროს და იყენებს ლექტორს.

ლელა ნადიბაიძე - შეაფასა 44 სტუდენტმა, აქედან 20 სტუდენტი ნაწილობრივ აფასებს ლექტორს, განსაკუთრებით აწუხებთ ლექციებზე დაგვიანება, მეტი დრო დაუთმოს ლექციის ახსნას, დრო დარჩეს გამოკითხვისთვის, უარყოფითად არის შეფასებული პუნქტები-5, 6, 7, 8,10,11,12, დამატებით ინფორმაციაში სტუდენტები ითხოვენ საგამოცდო ქულების დროულად გაგებას.

თამარ ჩიტოშვილი - შეაფასა 55 სტუდენტმა, აქედან ნახევარზე მეტი დადებითად აფასებს ლექტორს, ხოლო დანარჩენს აქვს გარკვეული სურვილები, კერძოდ, მეტი დრო დაეთმოს საგანს, უფრო საინტერესო იყოს ლექციები, მეტი დრო დაუთმოს ლექციის ახსნას, დრო დარჩეს გამოკითხვისთვის, უარყოფითად შეფასებულია პუნქტები- 6, 8, 9, 10, 11, 12

6 ხელს არ უწყობს ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას

8 ხელს არ უწყობს თავისუფალი აზრის გამოთქმას

9 ადვილად არ შეუძლია ურთიერთობა აუდიტორიასთან

10 არ გვამლევს დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის

11 სრულად არ იყენებს ლექციისათვის განკუთვნილ დროს

12 სტუდენტის ცოდნას არ აფასებს სამართლიანად.

შალვა ქურდაძე- შეაფასა 28 სტუდენტმა, აქედან ნახევარზე მეტი დადებითად აფასებს ლექტორს, ხოლო დანარჩენს აქვს გარკვეული სურვილები, უნდა მეტი დრო დაეთმოს საგანს, უფრო დაჩქარებულ რეჟიმში და უფრო საინტერესოდ მოყვეს, უფრო საინტერესო იყოს ლექციები, უარყოფითია პუნქტები დაახლოებით 10 % -5, 6, 8, 9,10, 11,12 , ამ საგანს მეტი დრო აქვს გამოყოფილი, ორი სტუდენტი მთლიანად უარყოფითად აფასებს ლექტორს ყველა პუნქტში.

ლალი ფაფიაშვილი- შეაფასა 47 სტუდენტმა, სტუდენტების უმრავლესობა აფასებს დადებითად ლექტორს, საგანს, რამდენიმე სტუდენტი ითხოვს ლექციები რო არ გაცდეს, ვინაიდან საგანი დიდი მოცულობისაა, არ დააგვიანოს ლექციაზე, ნაკლებად

უხეში იყოს სტუდენტის მიმართ, თუმცა ამას აქვს ეპიზოდური ხასიათი, და პროცენტულად დაბალი მაჩვენებელი.

თამარ ლალიაშვილი- შეაფასა 15 სტუდენტმა, თითქმის უმრავლესობა დადებითად აფასებს, თუმცა დაგვიანების საკითხი აქაც აქტუალურია, მეტი დრო დაეთმოს პრაქტიკულს, კაზუსებს. უარყოფითადაა შეფასებული 4, 5, 6, 7, 8,11,12 პუნქტები დაახლოებით სტუდენტთა 10 % მიერ.

არჩილ ლორია შეაფასა 19 სტუდენტმა-უფრო მეტად დადებითად არის შეფასებული, მაგრამ სურვილი აქვთ, რომ მეტი დრო დაეთმოს ლექციებს, სალექციო თემებს, უარყოფითია 5, 7, 10, 11,12 პუნქტები.

2.სასწავლო კურსის შეფასება

კითხვარი მოიაცავდა შემდეგ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო კურსი თეორიული ცოდნის მიღებას?
2. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო კურსი პრაქტიკული უნარების განვითარებას?
3. კმაყოფილი ხართ თუ არა სწავლების მეთოდებით?
4. მოგწონთ თუ არა არსებული შეფასების სისტემა?
5. თქვენი აზრით, უზრუნველყოფილია თუ არა სასწავლო კურსი თანამედროვე მასალით (ლიტერატურა, პრეზენტაციები, თვალსაჩინოება და ა. შ.)?
6. კმაყოფილი ხართ თუ არა სასწავლო კურსის შინაარსით?
- 7 კმაყოფილი ხართ თუ არა ლექტორის კვალიფიკაციით?
- 8 საშუალოდ რა დრო გჭირდებათ დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად?

სტუდენტების მიერ შეფასდა სამართლის პროგრამის 12 სასწავლო კურსი, ერთი ინგლისური ენა და დანარჩენი სამართლის მიმართულებით.

1. ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილი
2. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი
3. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი
4. ინგლისური ენა
5. ჰუმანიტარული სამართალი
6. ევროპის სამართალი
7. პრაქტიკუმი სპეციალობაში

8. სამოქალაქო საპროცესო სამართალი
9. საარჩევნო სამართალი
10. მუნიციპალური სამართალი
11. საკორპორაციო სამართალი, შრომის სამართალი
12. რეპეტიტორიუმი სისხლის სამართალში

ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს აფასებს დადებითად 7 სტუდენტი

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი და თვითონ ლექტორიც დადებითად შეაფასა 12 სტუდენტმა, 1 სტუდენტი გამოთქვამს სურვილს გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის დრო.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შეაფასა 14 სტუდენტმა, დადებითა ძირითადად შეფასება, ითხოვენ დასკვნითი გამოცდის საათების გაზრდას, ასევე რამდენიმეს სურვილია საგანს ჰქონდეს მეტი პრაქტიკული უნარების გამომუშავების საშუალება და ახლდეს თანამედროვე ლიტერატურა, ძალიან დადებითად აფასებენ თვითონ ლექტორს.

ინგლისური ენა შეაფასა 4 სტუდენტმა დედებითად.

ჰუმანიტარული სამართალი და ევროპის სამართალი შეაფასა 10 სტუდენტმა, ყველა ათივემ დადებითად შეაფასეს საგანიც და ლექტორიც.

პრაქტიკუმი სპეციალობაში შეაფასა 7 სტუდენტმა, ძირითადად დადებითი შეფასება აქვს, უბრალოდ ითხოვენ, რომ საგანმა მეტი პრაქტიკული უნარის გამომუშავების საშუალება მისცეს სტუდენტს, 2 სტუდენტი ნაწილობრივ აფასებს საგანს პუნქტებში- 1,3,5,6.

- 1.სასწავლო კურსი არ უზრინველყოფს თეორიული ცოდნის მიღებას
3. არ ვარ კმაყოფილი სწავლების მეთოდებით
5. არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსი თანამედროვე მასალით (ლიტერატურა, პრეზენტაციები, თვალსაჩინოება და ა. შ.)
6. კმაყოფილი არ ვარ სასწავლო კურსის შინაარსით

სამოქალაქო საპროცესო სამართალი შეაფასა 8 სტუდენტმა, 1 სტუდენტი გამოითქვამს სურვილს, რომ დასკვნით გამოცდას დაეთმოს მეტი დრო, დანარჩენი სტუდენტის შეფასება არის დადებითი.

საარჩევნო სამართალი, მუნიციპალური სამართალი შეაფასა 11 სტუდენტმა, უმრავლესობას მოსწონს საგანი, თუმცა რამდენიმე გამოთქვამს სურვილს მეტი პრაქტიკული უნარი გამოიმუშავოს, დასკვნით გამოცდაზე დროის კუთხით გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ამ საგანს უთმობენ 1 დან 4 საათამდე.

საკორპორაციო სამართალი, შრომის სამართალი შეაფასა 15 სტუდენტმა, უმრავლესობას მოსწონს საგანი, თუმცა რამდენიმე სტუდენტი გამოხატავს სურვილს, რომ შინაარსი იყოს უკეთესი, საგანი იყოს უზრუნველყოფილი თანამდროვე ლიტერატურით, 2 სტუდენტი მთლიანად უარყოფითად აფასებს საგანს, რამდენიმე სტუდენტს სურს, რომ გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის საათები.

რეპეტიტორიუმი სისხლის სამართალში შეაფასა 20 სტუდენტმა, ძირითადად დადებითად ფასდება, თუმცა გამოიკვეთა ორი პუნქტი, რომელიც ნაწილობრივ არის შეფასებული, ესაა :

სასწავლო კურსი პრაქტიკულ უნარებს არ აწვდის და საგანი არ არის უზრუნველყოფილი თანამდროვე ლიტერატურით, თვალსაჩინოებებით და პრეზენტაციებით, რამდენიმე სტუდენტმა ასევე ნაწილობრივ შეაფასა საგნის შინაარსიც.

2. პროგრამის და ზოგადად უნივერსიტეტის შეფასება

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 28 სტუდენტმა. კითხვარში იყო შემდეგი შეკითხვები:

1. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას? 1
2. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს?
3. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად?
4. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?

5. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს?
6. მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე?
7. არსებობს თუ არა სტუდენტთა მომსახურების სამსახური?. რა სახის ინფორმაციის მისაღებად მიმართავთ ამ სამსახურს?
8. უმეტესად, რა გზით ღებულობთ სწავლის პროცესთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას? (პასუხების რაოდენობა შეზღუდული არ არის)
- 8.1. დაწესებულების ვებ-გვერდი
- 8.2. მეგობრები
- 8.3. პროფესორ-მასწავლებელი
- 8.4. ადმინისტრაცია
- 8.5. სხვა (ჩაწერეთ)

9.

- გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი დამატებით მომსახურებებს (სპორტი და სხვ)?
10. ღებულობთ თუ არა რეგულარულად ინფორმაციას არსებული სტიპენდიებისა ან გაცვლითი პროგრამების შესახებ?
 11. ღებულობთ თუ არა საჭირო კონსულტაციას აკადემიური პერსონალისაგან? 12. ზოგადად, რამდენად გაკმაყოფილებთ პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია?
 13. რამდენად შეესაბამება ინფრასტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს ?
 14. კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით?
 15. სარგებლობთ თუ არა ელექტრონული რესურსებით (ელექტრონული ჟურნალები, წიგნები და სხვ.)
 16. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

ამ კითხვებზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

იღებენ თუ არა სტუდენტები ინფორმაციებს სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ?

4. სავარაუდო პასუხიდან 2 სტუდენტმა თავი შეიკავა, უარყოფითად შეაფასა-3 სტუდენტმა, დადებითად-11, დანარჩენმა-12-მა იშვიათად.

როგორია ინფრასტრუქტურის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან?

4 სტუდენტი უარყოფითად პასუხიბს, დიახ-11, ნაწილობრივი-13

კმაყოფილი ხართ თუ არა ლექტორების კვალიფიკაციით?

3 -ნაწილობრივი პასუხი, დანარჩენი-დადებითი.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ნაწილობრივია 5 სტუდენტის პასუხი, უარყოფითია-2 , დანარჩენი დადებითია.

იღებენ თუ არა სტუდენტები კონსულტაციებს აკადემიური პერსონალისგან?~
ორმა თავი შეიკავა, 4 -იშვიათად, დანარჩენი აფასებს დადებითად.

კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით? ამ კითხვაზე ნახევარმა სტუდენტმა უპასუხა ნაწილობრივ., ნაწილმა დადებითად.

დანარჩენ კითხვებზე პასუხია დამაკმაყოფილებელი და სურვილის დონეზე სტუდენტები ითხოვენ, რომ ვებგვერდი და სტუდენტის პერსონალური გვერდი უფრო კარგად ამუშავდეს, სურთ მეტი აქტიური სტუდენტური ცხოვრება, სტუდენტების და ლექტორების გაცდენების მონიტორინგს და კონტროლს ითხოვენ, ლიტერატურის შეძენას, თეორიულ სწავლებასთან ერთად მეტი პრაქტიკული უნარების განვითარებას, საჯარო ლექციების ჩატარებას, საინტერესო პირების მოწვევას, მეტ კონტაქტს სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის, მეტ სპორტულ და ინტელექტურალურ ღონისძიებების ჩატარებას, უნივერსიტეტის მეტ რეკლამირებას, იურიდიული კლინიკის სრულფასოვნად ფუნქციონირებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აუდიტორიების მოწყობას, ბიბლიოთეკის შევსებას ლიტერატურით, ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობას, სამართლის დარგში ცნობილი იურისტების მოწვევას საჯარო ლექციებზე, გაცდენებზე მეტი ყურადღების მიქცევას, ლექციების აღდგენას დროულად, გაცდენებზე მეტ მკაცრ კონტროლს, საკვები ბლოკის არსებობას, ახალი კოდექსების შეძენას.

პროგრამის შეფასების კუთხით

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას, პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ბაზრის მოთხოვნებთან, კრედიტების რაოდენობა საკმარისია, არსებული შეფასების სისტემა გამჭვირვალეა.

3. კვლევის შედეგებში წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის ფოკუს-ჯგუფების რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები. 12 კითხვა იყო დასმული:

1. თქვენი აზრით, რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის მიზანი და რამდენად შეესაბამება აკადემიური ხარისხისა და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს?
2. თქვენი აზრით, რამდენად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები) და რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზანს?
3. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს და რამდენად უწყობს ხელს მათ მიღწევას?
4. თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად?
5. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია?
6. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები სწორადაა შერჩეული და ხელს უწყობს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას?
7. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?
8. რამდენად კმაყოფილი ხართ სტუდენტთა განათლების ზოგადი დონით?
9. რამდენად შეესაბამება ინფრაქსტრუქტურა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს?
10. რამდენად კმაყოფილი ხართ ადმინისტრაციის საქმიანობით?

11. კმაყოფილი ხართ თუ არა ბიბლიოთეკით?

12. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

კვლევის შედეგებში წარმოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრება აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა)გამოკითხვის შედეგად აკადემიური პერსონალის უმრავლესობის დამოკიდებულება ფასდება პოზიტიურად, მათ მიაჩნია, რომ პროგრამის მიზანი შეესაბამება აკადემიური ხარისხისა და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს; სწავლის შედეგები კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები) მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზანს და სხვ., თუმცა გააჩნიათ სასურველი ხასიათის გარკვეული რეკომენდაციები: სასწავლო პროცესის დასახვეწად გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მოხდეს საბიბლიოთეკო ფონდის გაძლიერება უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით.

პროგრამის ხელმძღვანელი - გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის პერმანენტული მონიტორინგი და მის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა; აუცილებელია სტაჟირების პროექტების შეთავაზება და ამ მიმართულების გაძლიერება, რა დროსაც, სტუდენტები გაეცნობიან პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნებს, მათ მოლოდინს კადრებთან მიმართებაში. აღნიშნული გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას. ასევე გაძლიერდეს პროგრამა ინტერნაციონალიზიის კუთხით, ყველა ჩართული პერსონალი იყოს ამაში ჩართული, რატა მოიძიონ უცხოელი პარტნიორები, ანალოგიური პროგრამების მქონე

უნივერსიტეტები, სადაც აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შეეძლება სტაჟირების გავლა და სხვ.

4 კვლევის შედეგებში წარმოდგენილია გარე შემფასებლის ფოკუს-ჯგუფების რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა მოიცავდა 29 პუნქტს და მასში მოცემული იყო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, კრედიტების, შეფასების სისტემის, შეფასების კრიტერიუმების, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისობის საკითხი, პროგრამაში გამოყენებული თანამედროვე უცხოური და ქართულენოვანი ლიტერატურის შესახებ და სხვ. სახის შეკითხვები.

გამოკითხულთა ორივე რესპოდენტი გამოკითხვის ყველა პუნქტს პასუხობენ დადებითად და თვლიან, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები ადეკვატურია და შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, სილაბუსებში მოცემულია უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული ლიტერატურა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილებით, სამეცნიერო პუბლიკაციებით და სხვ. კრიტერიუმებით.

5. კვლევის შედეგებში წარმოდგენილია დამსაქმებლის ფოკუს-ჯგუფების რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა მოიცავდა 11 პუნქტს, კერძოდ, შემდეგი სახის კითხვები იყო დასმული:

1. გთხოვთ, აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც აწყდებით ადამიანური რესურსების მოძიებისას.
2. განიცდიან თუ არა თქვენი პროფილის ორგანიზაციები კვალიფიციური კადრების დეფიციტს

3. რა წესით ხდება თქვენთან კადრების შერჩევა და რას ანიჭებთ უპირატესობას?
4. რამდენად პასუხობს ჩვენი კურსდამთავრებულის თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
5. რამდენად პასუხობს ჩვენი კურსდამთავრებულების პრაქტიკული უნარები იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
6. ჩვენი კურსდამთავრებულის განათლებაში რა სახის ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
7. ჩვენი კურსდამთავრებულის რა სახის თეორიული, /პრაქტიკული უნარები არ მიგაჩნიათ საკმარისად თქვენთან სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად?
8. რა მიგაჩნიათ „ზედმეტად“ ჩვენი კურსდამთავრებულის განათლებაში?
9. თუ დაგჭირდათ ჩვენი კურსდამთავრებულების გადამზადება, სად და რა ფორმით გააკეთეთ ეს? რა დრო და ფინანსური სახსრები მოითხოვა ამ გადამზადებამ?
10. როგორ ავრცელებთ ინფორმაციას ვაკანსიების/სამუშაო ადგილების შესახებ (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები და ა. შ.)?
11. გთხოვთ, მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს თქვენს (და არა მხოლოდ თქვენს) სფეროში შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა (ცვლილებები სასწავლო პროგრამებში, სტაჟირება და/ან პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში და ა. შ.) ?

კვლევის შედეგებში წარმოდგენილია დამსაქმებელთა მოსაზრება აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ:

დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფი - წარმოდგენილი იყო ორი ორგანიზაციით (სს „სილქნეტი“, ააიპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრი-ჩემი ადვოკატი“. დამსაქმებლები ზოგადად კმაყოფილი არიან სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განათლების დონით,

კურსდამთავრებულების შემთხვევაში მიღებული აკადემიური ხარისხით, მინიჭებული კვალიფიკაციით, შესაბამისი გამოცდილებით, პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნით, პრაქტიკული და ზოგადი უნარებით, დამსაქმებლები იყვნენ მუდმივ კონტაქტში უნივერსიტეტთან, იცნობენ პროგრამას და მომავალშიც მზად არიან მუდმივად იყონ უნივერსიტეტთან კომუნიკაციასა და ურთიერთთანამშრომლობაში, რაც შესაძლებელს გახდის გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლის მოთხოვნები პოტენციური დასაქმებულის მიმართ. მისაღები კვალიფიკაციის, თეორიული და პრაქტიკული უნარების კუთხით.

SWOT – ანალიზი

სასმართლის საბაკალავრო პროგრამა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>1. სამართლის საბაკალავრო პროგრამის მცირეკონტიგენტიანობა და უნივერსიტეტის/სამართლის ფაკულტეტის ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა საჯარო უწყებებთან, კერძო ორგანიზაციებთან და ეკონომიკურ აგენტებთან, შესაძლებლობას იძლევა პროგრამა ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ სწავლებაზე, რა დროსაც სტუდენტს, დამამთავრებელი სემესტრის მანძილზე - 195 საათი უწევს მენტორის ზედამხედველობით განავითაროს პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევები მიმღებ ორგანიზაციაში;</p> <p>2. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სპეციალიზაციის მოდულების მიხედვით არჩევითი სასწავლო დისციპლინების მრავალფეროვან არჩევანს (135 ECTS კრედიტის ოდენობით / სავალდებულოა 55 ECTS კრედიტის მოპოვება), რაც საშუალებას აძლევს მათ, საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით მოახდინონ ინდივიდუალური პროფილის ფორმირება;</p> <p>3. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო დისციპლინებს, რომლებიც ერთი მხრივ, ორიენტირებულია, ჩვენი ქვეყნის</p>	<p>პროგრამის ინტერნაციონალიზაცია გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებაში (სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით) უნივერსიტეტის მხრიდან მეტი ჩართულობა და ხელშეწყობა.</p>

თანამედროვე ამოცანების რეალიზაციასა (მაგალითად, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება) და გამოწვევების დაძლევაზე, მეორე მხრივ, შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე ხელს უწყობს სტუდენტებში მნიშვნელოვანი ადამიანური და სამართლებრივი ღირებულებების ფორმირებას.

4. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი ისეა აგებული, რომ სტუდენტი იღებს დარგის სპეციალიზაციის ყველა მიმართულებით შესაბამის ცოდნას, არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სტუდენტის შესაძლებლობას განსაზღვროს საკუთარი ინდივიდუალური პროფილი.
5. სამართლის საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, სწავლების შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები ან ხდება მათი კომბინირებული გამოყენება. სამართლის საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას სწავლების შედეგების მისაღწევად ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, დინამიურად - სწავლის შედეგების, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.
6. პროგრამის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. სასწავლო კურსების შესწავლის შედეგად სტუდენტებისათვის კურსის დაძლევით გამომუშავებული

კომპტენციებისა და მათი დონის განსაზღვრა ხორციელდება მრავალკომპონენტური და მრავალმეთოდიანი შეფასების სისტემით.

7. ძირითადად უზრუნველყოფილია შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების განზოგადებული ანალიზით, სტუდენტთან უკუკავშირი.
8. სტუდენტური თვითმმართველობა საკმაოდ აქტიურია და ჩართულია საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა კომპონენტის რეალიზაციაში;
9. უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა ინფორმირების ყველა პოპულარულ მექანიზმს, ზრუნავს სტუდენტთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გასაძლიერებლად;
10. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სერვისები დივერსიფიცირებულია.
11. პროგრამას ჰყავს ძლიერი როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. ყველა მათგანს გააჩნია მდიდარი, მრავალწლიანი გამოცდილება როგორც სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური, ისე პრაქტიკული იურისპრუდენციის კუთხით, ნაწილი მათგანი არის პრაქტიკოსი მოსამართლე, ადვოკატი, დარგის ექსპერტი და სხვ.
12. პროგრამა უზრუნველყოფილია მდიდარი წიგნადი, ციფრული ფონდით, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით.
13. უნივერსიტეტს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, მოქმედი იურიდიული კლინიკა და სხვ.

<p>14. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ემყარება შემდეგ პრინციპს: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“;</p> <p>15. შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება პროგრამის პერმანენტული მოდიფიცირება/განახლება; პროგრამის ბოლო მოდიფიცირება განხორციელდა ჩატარებული SWOT ანალიზის, ბაზრის კვლევის, პროგრამის შედეგების შეფასების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით და საფუძველზე.</p>	
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>1.სასურველია კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის სპეციალიზაციით უფრო მეტი არჩევითი სასწავლო დისციპლინების შეთავაზება.</p> <p>2.სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში სასურველია ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩასაბარებელი არჩევითი დისციპლინების დივერსიფიკაცია;</p> <p>3.სასურველია სისხლის სამართლისა და კერძო სამართლის სპეციალიზაციით არჩევითი დისციპლინების მეტი მრავალფეროვნება;</p> <p>4.სასწავლო კურსების სილაბუსებში, აქტიურობისა და დასკვნითი გამოცდის ნაწილში სასურველია ზეპირი კომპონენტის გაძლიერება, იმის გათვალისწინებით, რომ პროფესია განაპირობებს ორატორული უნარ-ჩვევების აუცილებლობას;</p> <p>5.სასურველია გაძლიერდეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და პროგრამისგარეშე კვლევითი კომპონენტი, ამ ტიპის აქტივობების, მათ შორის, უნივერსიტეტთაშორის დონეზე, ასევე საერთაშორისო ინტერაქტიული ხასიათის სემინარების, კონფერენციებისა და</p>	<p>განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია, კადრების გადინება, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელი შიდა და გარე ფაქტორები, სხვადასხვა უსდ-ებში უკვე არსებული რეალიზებული აკრედიტებული სამართლის საბაკალავრო პროგრამები, კონკურენციის მაღალი დონე; ასევე, სპეციალისტთა მაღალი კონკურენცია დასაქმების ბაზარზე, სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა უმაღლესი განათლების სფეროში, შრომის ბაზარზე მკვეთრი ცვლილებების შესაძლო საფრთხე.</p>

ვორკშოპების ორგანიზების გზით.

6.სასურველია უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განხორციელების კუთხით მუშაობა;

7.სასურველია უნივერსიტეტის მასშტაბით ჩამოყალიბდეს სტუდენტთა ფქსიქოლოგიური დახმარების ცენტრი;

8.გასაძლიარებელია კურსდამთავრებულებთან კავშირები;

9.გასაძლიერებელია პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია;

10.სასურველია უფრო ინფორმაციული და მოქნილი გახდეს სტუდენტთა ელექტრონული მართვის სისტემა.

11.ახალი კვალიფიციური კადრების, აფილირებულ საფუძველზე მოზიდვა,

12.უცხოელი პროფესორების ჩართვა სასწავლო პროცესში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამის საერთაშორისო ასპექტის გაძლიერების მიზნით

13.საერთაშორისო-სასწავლო და კვლევითი გრანტების მოზიდვა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება/ხელშეწყობა,

14.მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება,

15.უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის პერმანენტული შეძენა,

16.დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება.

17.უცხოელი ექსპერტების და სპეციალისტების ჩართვა პროგრამის განვითარებისა და რეალიზაციის პროცესში;

18.სამართლის საბაკალვრო პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში მონაწილეთა რაოდენობის და წარმომადგენლების

გაზრდა.	
---------	--